Bundesamt
für Migration
und Flüchtlinge

RÜCK KEHR

ინფორმაცია ნებაყოფლობით სამშობლოში დაბრუნების შესახებ

GEORGISCH

რა მოხდება, თუ თქვენი განაცხადი თავშესაფრის მიღების თაობაზე უარყოფილი იქნება?

თავშესაფრის მიღების თაობაზე თქვენი განაცხადის უარყოფასთან ერთად თქვენ მიიღებთ ინფორმაციას **ვადის** შესახებ, რომლის გასვლამდეც თქვენ უნდა დატოვოთ ქვეყანა. **ეს ვადა წესისამებრ მერყეობს 1 კვირიდან 30 დღემდე. თუ ამ ვადის ფარგლებში თქვენ ნებაყოფლობით არ დატოვებთ ქვეყანას, მაშინ შესაძლებელია თქვენი თქვენს ქვეყნაში იძულებით წაყვანა** (უკან დაბრუნება). თქვენ თავად უნდა გაიღოთ უკან დაბრუნების ხარჯები და მრავალი წლის განმავლობაში არ გექნებათ შესაძლებლობა ლეგალური გზით შემოხვიდეთ გერმანიაში ან ევროკავშირის სხვა რომელიმე ქვეყანაში (ქვეყანაში შესვლის აკრძალვა). ქვეყანაში დარჩენისათვის აუცილებელი ბინადრობის დოკუმენტების ფლობის გარეშე თქვენ არ გაქვთ უფლება დარჩეთ გერმანიაში. პოლიციის მიერ თქვენი დაკავება და დეპორტაცია ნებისმიერ დროს არის მოსალოდნელი. **გამოიყენეთ ნებაყოფლობით უკან დაბრუნების შესაძლებლობა მანამდე, სანამ ქვეყანაში დარჩენის შემაჩერებელი ღონისძიებები გატარდება.**

სამშობლოში ნებაყოფლობით უკან დაბრუნება ხორციელდება გერმანიის სახელმწიფოს ხელშეწყობით

უკან დაბრუნება და რეინტეგრაციის პროგრამები ითვალისწინებს მრავალმხრივ დახმარებას, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ არ გაქვთ თანხა იმისათვის, რომ თავად დაფაროთ წასვლის ხარჯები. გარდა ამისა, ნებაყოფლობით უკან დაბრუნებულებისათვის განსაზღვრულ ქვეყნებში არსებობს დახმარების დამატებითი გზები, იმისათვის რომ სამშობლოში ცხოვრების თავიდან დაწყება გაგიადვილდეთ. ეს ხელშეწყობა თქვენ შესაძლებლობას გაძლევთ, დამოუკიდებლად დაბრუნდეთ უკან და თქვენი უკან დაბრუნება საგულდაგულოდ მოამზადოთ.

რა დახმარება შეგიძლიათ მიიღოთ?

უკან დაბრუნების პროგრამა თქვენ გაძლევთ საშუალებას ნებაყოფლობით უკან დაბრუნების შემთხვევაში მიიღოთ ორგანიზატორული და ფინანსური დახმარება

- სამგზავრო ხარჯების დაფარვა
- საგრძნობი ფინანსური დახმარება
- სამედიცინო ხარჯების დაფარვა

სხვა და სხვა რეინტეგრაციის პროგრამები თქვენ დაგეხმარებათ თქვენს სამშობლოში ხელახლა დაიწყოთ ცხოვრება.

- პროფესიული საკვალიფიკაციო ღონისძიებები
- დახმარება სამუშაო ადგილის ძიებაში
- დახმარება მცირემასშტაბიანი ფირმის დაარსებაში
- დახმარება საცხოვრებლის საკითხებში
- კონსულტაცია და დახმარება სოციალურ და სამედიცინო საკითხებში

სად მიიღებთ დამატებით ინფორმაციას?

ნებაყოფლობით უკან დაბრუნების საინფორმაციო პორტალზე **www.ReturningfromGermany.de** თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია წარმომავლობის ქვეყნების შესახებ, ისევე როგორც უკან დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროგრამების შესახებ და, ცენტრალური საძიებო ფუნქციის საშუალებით მოიძიოთ ახლომდებარე საკონსულტაციო სამსახური ნებაყოფლობით უკან დაბრუნების მსურველებისთვის. გარდა ამისა, თქვენ შეგიძლიათ დარეკოთ ლტოლვილთა და მიგრაციის ფედერალური სამსახურის (BAMF) ცხელ ხაზზე **+49 911 943 – 0**



უკან დაბრუნების შესახებ კონსულტაციისას თქვენ მიიღებთ შემდგომ დახმარებას

თუ დაინტერესებული ხართ სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნებით, შეგიძლიათ მიმართოთ უკან დაბრუნების საკონსულტაციო სამსახურს.

- კონსულტაცია უკან დაბრუნების შესახებ არის უფასო, სანდო და ინდივიდუალური.
- კონსულტაცია დაგეხმარებათ უკან გამგზავრების ორგანიზირებაში, მომზადებაში, დახმარების მიღების შესახებ განაცხადის შეტანასა და შესაბამის შემთხვევაში, დამატებითი დახმარებების მიღების შესახებ განაცხადის შედგენაში.
- თუ არ გაქვთ ვარგისი სამგზავრო დოკუმენტები, დახმარებას მიიღებთ ასევე პასპორტის შემცვლელი დოკუმენტის მიღებაში.
- იმისათვის, რომ თქვენთვის კონსულტაციისას ყველაფერი გასაგები იყოს, გათვალისწინებულია მთარმგნელის / თარჯიმნის ჩართვა. თუმცა ასევე გაქვთ შესაძლებლობა, თავად მოიყვანოთ საკონსულტაციო სამსახურში პიროვნება, რომელიც გითარგმნით.

არის თუ არა ნებაყოფლობით უკან დაბრუნება ნებისმიერ დროს შესაძლებელი?

ნებაყოფლობით უკან დაბრუნება თავშესაფრის მაძიებლებს, რომელთა პროცესი ჯერ არ არის დასრულებული და ასევე ადამიანებს, რომლებსაც უკვე მიენიჭათ ქვეყანაში დარჩენის უფლება, აძლევს ახალ შანსს და პერსპექტივას საკუთარ სამშობლოში.

თქვენ თავშესაფრის მიღებისათვის მიმდინარე პროცესის დროსაც შეგიძლით მიმართოთ უკან დაბრუნების საკონსულტაციო სამსახურს. ეს ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს თქვენი თავშესაფრის პროცედურის შედეგზე.

გაინტერესებთ ნებაყოფლობით უკან დაბრუნება? დაჯავშნეთ ვიზიტი ახლომდებარე უკან დაბრუნების საკონსულტაციო სამსახურში:

არ არსებობს ნებაყოფლობით სამშობლოში დაბრუნებისას დახმარების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. დახმარების მიღება ერთ ადამიანს შეუძლია მხოლოდ ერთხელ. გერმანიაში ხელახლა შემოსვლის ან უკან არდაბრუნების შემთხვევაში, შესაძლოა შესაბამისმა უწყებამ მოითხოვოს გაწეული დახმარების უკან დაბრუნება.